შირაქი

SHIRAKI

№12 (9.821)

7 – 14 აპრილი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

გვ.3

საალდგომო საჩუქარი

გვ.3

პატიმრობა – მეუღლეზე ძალადობის გამო

გვ.5

ყველა სოფლის გაზიფიცირება დაფინანსდა

გვ.2

ტრაგედიიდან – დამოუკიდებლობამდე

გვ.4

ვაშლოვანი – ჩვენი სავიზიტო ბარათი



გვ.8



გვ.5

თამაში, რომელიც სიკვდილით სრულდება

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“

გვ.4

ყველა სოფლის გაზიფიცირება დაფინანსდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილ სოფლებში ცისფერი ალის შეყვანის პერსპექტივა კიდევ უფრო რეალური გახდა. ამის შესახებ პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 5 აპრილს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა. პრემიერი ხაზს უსვამს, რომ პრობლემას 40 მილიონამდე ლარი მოხმარდება.

ბოლო წლებში დედოფლისწყაროს ხელისუფლება აქტიურად საუბრობდა იმაზე, რომ გაზს ისეთ სოფლებში შეიყვანდნენ, სადაც აქამდე არასოდეს ყოფილა. ახალი ხელისუფლების ერთერთი მთავარი დაპირება სწორედ ასეთი სოფლების გაზიფიცირება იყო. დედოფლისწყაროსთვის ეს საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მუნიციპალიტეტს საკუთარი ტყის რესურსი არ აქვს და მოსახლეობისთვის შეშით მომარაგების საკითხი დამატებით პრობლემებთანაა დაკავშირებული და მისი თვითღირებულებაც შორი მანძილის გამო იზრდება.

ბოლო ხანს დედოფლისწყაროს მერიაში ამბობდნენ, რომ ქედების ზონის სოფლების გაზიფიცირების პროექტი უკვე შესყიდულია და ყველა დეტალი გათვლილია. მის განსახორციელებლად კი მხოლოდ ფინანსური რესურსის გამოძებნა იყო საჭირო. სამუშაოების დაწყების თარიღიც დაფინანსების წყაროზე იყო დამოკიდებული.

საქართველოში ბუნებრივი აირი დამატებით 17 517 ოჯახს მიეწოდება, - გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს საქართველოს მთავრობა კიდევ 19 მუნიციპალიტეტის 80 სოფელსა და 1 ქალაქში განახორციელებს.

მასშტაბური სამუშაოები, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 39,5 მლნ ლარით დაფინანსდება, განხორციელდება დედოფლისწყაროს, ქობულეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, თერჯოლის, წყალტუბოს, ლაგოდეხის, დუშეთის, მცხეთის, სენაკის, ბოლნისის, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, გარდაბნის, ზუგდიდის და ხობის მუნიციპალიტეტების არაერთ სოფელში, ასევე – ქალაქ მარტვილში, გაზიფიცირების გარეშე დარჩენილ უბნებში.

როგორც საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, 2013-2017 წლებში 80 ათას ახალ ოჯახს მიეწოდა ბუნებრივი აირი მთავრობის მიერ განხორციელებული გაზიფიცირების სამუშაოების შედეგად; ახალი სამუშაოები კი დამატებით 17 517 ოჯახის გაზიფიცირებას ითვალისწინებს, რაც, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების კუთხით, ძალიან მნიშნელოვანია.

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ პრემიერი მხოლოდ ქედების ზონის გაზიფიცირების პროექტს არ გულისხმობდა და ეს დედოფლისწყაროს ყველა სოფელს ეხება, სადაც გაზი ჯერ კიდევ არ არის. დამატებით დეტალებს მერია მას შემდეგ შეიტყობს, რაც პრემიერის აპარატი მერიას შესაბამის დოკუმენტაციას მიაწვდის.

სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამ სოფლების გაზიფიცირების საკითხი მისი ერთერთი მთავარი საარჩევნო დაპირება იყო, ამიტომ მოხარულია, რომ საკითხი გადაწყდა. შიოლაშვილის მტკიცებით, პროექტი მოიცავს სოფლებს: ზემო ქედს, არხილოსკალოს, ქვემო ქედს, სამთაწყაროს, ფიროსმანს, საბათლოს, თავწყაროს, ჭოეთს. მილს შეიყვანენ ასევე ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალშიც, რომელიც დედოფლისწყაროში, ელდრის საძოვრებზეა გაშენებული.

ირაკლი შიოლაშვილი: „ჩემი ერთერთი მთავარი დაპირება იყო გაზიფიცირების პრობლემის მოგვარება და მიხარია, რომ ისეთ სოფლებში მივიყვანთ გაზს, სადაც აქამდე არასოდეს ყოფილა. ბევრი ვიბრძოლე საიმისოდ, რომ დროულად გადაჭრილიყო ეს პრობლემა. გამოყოფილი 40 მილიონიდან 11 მლნ ლარი დედოფლისწყაროში განსახორციელებელ სამუშაოებს მოხმარდება. ჯერ კიდევ გუბერნატორად მუშაობის პერიოდში მოვამზადე ერთობლივი პროექტი, რომელიც ყველა სოფლის დაპროექტებას ისახავდა მიზნად. ასე რომ პროექტი უკვე არსებობს და მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები წელსვე უნდა დაიწყოს. ხელისუფლება მოახდენს ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობას და მილის ყველა სოფელში მიყვანას. გასულ წლებში ასეთი სამუშაოები გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ აწარმოა, ამჯერად ვინ გაიყვანს მაგისტრალურ მილს, ჯერჯერობით ჩემთვის ცნობილი არ არის. მაგრამ ერთი შემიძლია ცალსახად ვთქვა, რომ მილს სახელმწიფო ყველგან მიიყვანს, შემდეგ კომპანია „სოკარს“ გადასცემს და უკვე „სოკარი“ უზრუნველყოფს მის დაქსელვას და აბონენტებამდე მიყვანას. ასეთი პრაქტიკა არსებობდა გასულ წლებში და სავარაუდოდ, ახლაც ამ სქემით მოხდება პროექტის განხორციელება. კიონკრეტულად როდის დასრულდება ეს პროექტი, ან სავარაუდოდ, როდის მივა ბუნებრივი აირი ამ სოფლების ოჯახებამდე, ჯერ ამის თქმა ნაადრევია. სულ მალე გვეცოდინება დეტალები, მივიღებთ შესაბამის დოკუმენტაციას და სიამოვნებით ვისაუბრებთ ვრცლად. მედიასაშუალებების დახმარებით ვეცდებით ოპერატიულად ვაცნობოთ დაინტერესებულ მოსახლეობას ამ სამუშაოების ირგვლივ დამატებითი დეტალები“

ილია მარტყოფლიშვილი

კვირიკაშვილი: — კახეთი მალე გახდება ოთხივე ტურისტული სეზონის მასპინძელი მხარე

„კახეთში წელს გაიხსნება მსოფლიოში ცნობილი ბრენდების სასტუმროები: „რედისონი წინანდალი“ და „ჰოლიდეი ინი თელავი“. 2019 წელს კახეთს შეემატება სასტუმროები „გოლდენ ტიულიფი“ და „ვილა გოდოლი“, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თელავში, პარტია „ქართული ოცნების“ საქალაქო კონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, რეგიონისთვის ტურიზმის განვითარება მთავარი პრიორიტეტია.

„კახეთს ნამდვილად აქვს ამის უზარმაზარი პოტენციალი. ახალი სასტუმროების გახსნის შედეგად კახეთის სასტუმრო ობიექტებს 640 საწოლ-ადგილი დაემატება, რაც გაზრდილი ტურისტული ნაკადისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რეგიონში ასევე დაგეგმილია ათეულობით პატარა კერძო შატოს და მარანის, მცირე ჰოსტელების და სასტუმროების მშენებლობა, რაც მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ხალხისთვის და ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის.

მე უკვე ვთქვი და მინდა ახლაც გითხრათ, რომ ჩვენ განვიხილავთ კახეთში აეროპორტის მშენებლობას და ასევე, ვფიქრობთ თბილისი-საგარეჯო-გურჯაანი-თელავის სარკინიგზო გზის აღდგენის პერსპექტივაზე.

იცით, რომ თუშეთში შენდება ახალი გზა, რომელიც თბილისიდან სამჯერ შეამცირებს საავტომობილო მგზავრობის ხანგრძლივობას თუშეთის მიმართულებით, ააღორძინებს და ახალ სიცოცხლეს შემატებს პანკისის ხეობას.

ყოველივე ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ უპრეცედენტოდ მზარდ ტურისტულ ნაკადს რეგიონში.

თუშეთის განვითარება, ზამთრის ტურისტული პროექტების დაგეგმვა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გარემოს, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აქტივობას ამ ულამაზეს კუთხეში. კახეთი მალე გახდება ოთხივე ტურისტული სეზონის მასპინძელი მხარე“, — განაცხადა პრემიერმა.

მისივე ინფორმაციით, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმროების განვითარების თანადაფინანსების კომპონენტით მხარდაჭერილია 12 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 43 მილიონი ლარია. გათვალისწინებულია 350-ზე მეტი დამატებითი ოთახისა და ასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნა.

სააღდგომო საჩუქარი

დედოფლისწყაროს მუნიციპლიტეტის მერი ნიკოლზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და მერიის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად დედოფლისწყაროს სათნოების სახლს ეწვია და ბენეფიციარებს დამდეგი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მერიის თანამშრომლებმა „სავანის“ ორასოცდაათივე ბენეფიციარს სააღდგომო საჩუქრები გადასცეს.

საღდგომო განწყობისთვის...

აღდგომა – უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. აღდგომას უძღვის მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნების კვირა. ქრისტიანთათვის ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღნევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომამ მომავლის იმედი და ცხოვრების მიზანი გააჩინა; მორწმუნეებს აღარ ეშინიათ სიკვდილის, რადგან ის არარაობად იქცა, დამარცხდა თავად ქრისტეს მიერ. აღარ ეშინიათ ეშმაკის, რადგან ადამიანზე მისი მეუფება დამთავრდა და განქარვდა. აღარც ცოდვის ტყვეობის უნდა გვეშინოდეს, ვინაიდან უცოდველმა ღმერთმა განწმინდა ადამიანური ბუნება. ამ ყოველივეს დასტურია წმინდანთა ცხოვრება, მათ არაფრად მიიჩნიეს სიკვდილი და ყოველგვარი მიწიერი დიდების წილ სასიკვდილო ტანჯვა-წამება იტვირთეს. ვერც ეშმაკის მრავალგვარმა მცდელობამ გატეხა მათი სულისკვეთება და ვერც ცოდვის სიამტკბილობამ მოხიბლა ისინი. ამიტომ, წმინდანთა სულიერმა სრულყოფილებამ გარდაცვალების შემდგომ, მათი სხეულის უხრწნელებაც კი განაპირობა.

ამჯერადაც არ ვუღალატეთ ტრადიციას და ჩვენი მოსახლეობის წინასაღდგომო გუნება-განწყობის გაცნობას შევეცადეთ ჩვენი მკითხველისთვის, რამდენად ითავისებენ დღესასწაულის შინაარს თუ მხოლოდ რიტუალურია მათთვის ამ ბრწყინვალე დღესასწულის სამზადისი.

ცარო მარტიაშვილი - აღდგომა არის ის ერთადერთი დღესასწაული, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარს და მიხარია! ძალიან ამაღლებული.. ძალიან განსხვავებული და ძალიან სხვანაირი ვარ! ველოდები და დარწმუნებული ვარ, რომ აღდგომის შემდეგ ყველაფერი სხვანაირა, რომ ყველაფერი უფრო კარგად იქნება!

მაკა ფიროსმანაშვილი - ჩემთვის აღდგომა ყველაზე დიდი დღესასწაულია, რომელსაც ყოველთვის ახალი იმედებით და ემოციებით

(გაგრძელება გვ.3)

გილოცავთ!

ქრისტე აღდგა! გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს — უდიდესს ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის.

ეს დღე გამორჩეული და განსაკუთრებულია. მაცხოვარი ამქვეყნიურ სისუსტეს ამარცხებს სიყვარულითა და სინათლით. ეს ნათელი ცხადყოფს, რომ სიყვარულია ყველაზე აღმატებული ამქვეყნიური ძალა; რომ სიცოცხლე ყოველთვის იმარჯვებს სიკვდლზე; რომ სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე.ჩვენ ყველანი ხატად და მსგავსად ღვთისა ვართ შექმნილნი და თითოეული ჩვენგანის სულშია ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც დღეს ღაღადებს, – ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე!არ არსებობს სხვა პრეცენდენტი კაცობრიობის ისტორიაში გარდა იესო ქრისტესი, რომ ვინმე მომკვდარიყო ადამიანთა ცოდვებისთვის...ამიტომაც ის არის ერთადერთი მაცხოვარი გამარჯვებული სიკვდილზე და ცოდვაზე, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი. ამ უდიდეს დღესასწაულს ჩვენ ვუკავშირებთ საყოველთაო განახლებისა და უკეთესი მომავლის რწმენას. დაე, განახლების ამ სულმა კეთილდღეობა, მშვიდობა და ბედნიერება მოიტანოს თქვენს ოჯახებსა და ჩვენს სამშობლოში.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

ქრისტე აღდგა !-ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე! გილოცავთ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას. აღდგომა ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის ყველაზე დიდებული, ლამაზი და გამორჩეულია . ესაა უდიდესი მნიშვნელობის დღე, რადგან გოლგოთის გზაზე მიმავალმა მაცხოვარმა ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვებიც ზიდა და სამოთხის ჩაკეტილი კარი გააღო, ხოლო აღდგომით ბოროტება და სიკვდილი დაამარცხა. დღევანდელი დღესასწაული გვიმტკიცებს რწმენას, რომ სამყაროში დაუმარცხებელია სიცოცხლე, სიკეთე და ყველა ის ფასეულობა, რომელიც განკაცებულმა და ჯვარცმულმა მაცხოვარმა გვიქადაგა. ქრისტიანობამ ქართველ ერში კიდევ უფრო გაამყარა და გააღრმავა ის ღირებულებები, რომელიც ჩვენს ერს გენეტიკურად გააჩნდა და სრულ ჰარმონიაში მოიყვანა მასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვები- ქართველი და ქრისტიანი, ფაქტობრივად, სინონიმები გახდა. ამიტომაცაა ჩვენთვის აღდგომა წმიდათა წმიდა და განსაკუთრებული სიხარულის მომნიჭებელი. ქრისტეს აღდგომა არის ახალი სიცოცხლის დასაბამი, სიმბოლო განახლებისა და ნათელი მომავლისა, რომელიც კიდევ ერთხელ გვმატებს რწმენას, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება. კიდევ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღდგა!

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ქრისტე აღდგა!-ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

აღდგომა ზეიმთა ზეიმია, რადგან ესაა სიცოცხლის სიკვდილზე, სიკეთის ბოროტებაზე და ნათელის წყვდიადზე გამარჯვების დღესასწაული. ამიტომ ჩვენთვის, თითოეული ქრისტიანისთვის, ესაა უდიდესი სიხარულისა და იმედის დღე, მაგრამ ამავდროულად არის მოვალეობაც, რათა ჩვენი ცხოვრების არცერთ ეტაპზე ბოროტებასა და სიბნელეს გასაქანი არ მივცეთ.

აღდგომას ბევრი ღვთიური სასწაული უკავშირდება და მე ხშირად ვიმეორებ, რომ ჩემთვის განსაკუთრებულად მომნუსხველი ზეციური ცეცხლია, რომელიც აღდგომის დღეს მაცხოვრის საფლავზე გადმოდის. ეს სასწაულები კი იმას ნიშნავს, რომ ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი უფალი მუდამ ჩვენთანაა . სიყვარულითა და რწმენით სავსე გული კი დაუმარცხებელია ისევე, როგორც თვით რწმენა და სიყვარულია დაუმარცხებელი.

მეგობრებო, ჩემო თანამემამულეებო, უფლის წყალობა და შემწეობა არ მოგკლებოდეთ. ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და სიხარულს გისურვებთ.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

აღდგომა ქრისტესი

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! — ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 8 აპრილს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: "მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები". კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: "მარიამ!" მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: "აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა". მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა — ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონობისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი — მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასკა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: „მე ვარ პური ზეცით გარდამოსული".

ქრისტე აღდგა!!!

სააღდგომო განწყობისთვის...

(მეორე გვერდიდან)

ვეგეტები. ტრადიციულად, ალბათ ისევე როგორც ყველა, ვაცხობთ პასკებს, ვღებავთ კვერცხებს, ვესწრებით ლიტანიობას, თუმცა, მთავარი ამ დღესასწაულზე იმ სიხარულის განცდაა, რომელსაც ქრისტიანები ქრისტეს აღდგომის გამო განვიცდით. ყველას გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლას და სულიერ სიმშვიდეს.

თამუნა ლომსაძე - აღდგომა დიდი დღესასწაულია და ყოველთვის ვცდილობ, კარგი განწყობით შევხვდეთ მთელი ოჯახი, ტრადიციულად სახლში ვაცხობთ პასკებს, ვღებავთ კვერცხებს, მოგვყავს ჯეჯილი და რაც ყველზე მთავარია, სიხარულით და ამაღლებული გრძნობით ველოდებით დღესასწაულს...

დალი ალადაშვილი - განსაკუთრებით მიყვარს შობა და აღდგომა. ამ დღეებში ქალაქიდან ჩამოსული სტუმრებით ივსება აქურობა, სასიამოვნოა საფლავზე გასვლის რიტუალიც, ყველა თავისი წინაპრების საფლავებს რომ ასუფთავებს. სახლში ვაცხობთ პასკებს ყოველთვის, მისი სურნელი თუ არ დატრიალდა, ისე რა გემო აქვს? ოჯახშიც რაღაცნაირი სითბო და ტრადიციებისადმი პატივისცემა ისადგურებს ამ პერიოდში...

დალი მაძღარაშვილი - ქრისტეს აღდგომა ერთი დღის დღესასწაული არ არის, ის ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. მისი აღდგომით სიმბოლურად გამოვხატავთ სიკვდილზე, ანუ ცოდვაზე გამარჯვებას, რომელიც მოგვეცა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წყალობით! ამიტომაა, რომ აღდგომის დღეს ყოველთვის სიხარულით ვხვდებით, რადგან მივყვებით იესოს გზას და ვრჩებით მის ჭეშმარიტებაში.

ირინა მერაბიშვილი - ჩემთვის აღდგომა ყველაზე საყვარელი დღესასწაულია, დიდი სიყვარულით და ხალისით ვფუსფუსებ, გაორმაგებული ენერგია მაქვს.

თეა ქორთიევი - წელს აღდგომას, სხვა წლებისაგან განსხვავებით, სულმოუთქმლად ველოდები, სხვანაირად მიხარია და ვემზადები. ადრე დიდად ვერ ვხვდებოდი აღდგომის დღესასწაულის მნიშვნელობას, რაც ასაკი მომემატა, უფრო გამიძლიერდა რწმენაც და ალბათ, ამიტომ. მინდა, ლამაზი და გამორჩეული თემატიკიდან გამომდინარე, შევიძინო სააღდგომოდ ყველაფერი,

უფალი რომ აღსდგება და გადმოხედავს დედამინას, შემოიხედავს ყველას ოჯახში, ლამაზად გაწყობილი სუფრა დახვდეს, ბევრ წითლად შეღებილ კვერცხთან ერთად.

მაგული პაპუაშვილი - ბრწყინვალე განწყობით ვხვდები, პირველი, რაც მიხარია ის არის, რომ ჩემი პატარები ელოდებიან წითელ კვერცხს, პასკას... პირადად ჩემთვის ხომ მართლაც და დიდი ბრწყინვალე დღესასწაულია...

მაია პოპიაშვილი – დიდებული, გადასარევი, ამაღლებული განწყობა მაქვს ყველა სხვა დღესასწაულთან შედარებით. მივდივარ სახარების კითხვაზე, ამაღამ მოვზელ ცომს, დილაზე გამოვაცხობ პასკებს და მერე სულ ველი სტუმრებს. მრავალს დაესწარით ყველა თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

მარიკა დუღაშვილი - ყველაზე მეტად მიყვარს და მიხარია ეს დღესასწაული. გილოცავთ ყველას ამ ბრწყინვალე დღეს.

რუსუდან ნადირაშვილი – უმთავრესი დღესასწაული 12 საუფლო დღესასწაულს შორის არის აღდგომის დღესასწაული. საქართველოში აღდგომა ყოველთვის გაზაფხულს ემთხვევა, ბუნების ზეიმს, აღდგომაც ხომ ზეიმია ყველა ქრისტიანის გულში.

დიდი სიხარულით ვხვდები აღდგომის დღესასწაულს ტაძარში, ვესწრები ღამისთევას...

რაც შეეხება ჩვენი ოჯახის ტრადიციას, ვაცხობთ პასკას, აუცილებლად გვაქვს ჯეჯილი და წითელი კვერცხი. შობისა და აღდგომის დღესასწაულზე ვაცხობთ „საშობაო" ღვეზელს, ყველისა და მოხარშული კვერცხის გულსართით".

მინდა ყველას მოგილოცოთ აღდგომის დღესასწაული, ქრისტესმიერი სიყვარული არასდროს განელებულიყოს თქვენს გულებში! დასასრულს, ვუერთდები ჩვენს რესპოდენტებს და ვულოცავთ ჩვენს მკითხველს და სრულიად საქართველოს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, მშვიდობა, სიკეთე, ამაღლებული განწყობა და კეთილდღეობა არ მოჰკლებოდეს ჩვენს ქვეყანას და ყველაზე მთავარი – უფლის წყალობა და შეწევნა.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ტრაგედიიდან-დამოუკიდებლობამდე

მაშინ მეც 16 წლის ვიყავი. იმ წელს სკოლას ვამთავრებდით და ახალი ცხოვრების დაწყებას ვგეგმავდით. მახსოვს, ჩვენც ისეთივე აღტაცებით ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის ოქროს ხანაზე და ვოცნებობდით საქართველოს დამოუკიდებლობაზე, როგორც ის ადამიანები, მიტინგზე რომ იდგნენ... დღესაც მახსოვს ეროვნული გამოღვიძების პერიოდიც და ის მუხტიც, რომელიც ქართველ ხალხში და განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, ძალუმად იგრძნობოდა. საპროტესტო დღეების ქრონიკის საათებსა და წამებს ვზომავდით და ჩვენეულ ქრონომეტრაჟში ვატარებდით... დღემდე მახსოვს 9 აპრილის გამორჩეულად ამაღლებული განწყობა, ახალგაზრდების მიერ ხალხური ცეკვითა და სიმღერით გამოხატული და დღის ბოლოს-ორლესული ნიჩბებით ჩახშული, მაგრამ არა ჩაკლული თავისუფლების სურვილი...

1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, მაშინ, როცა მშვიდობიანი აქციის, მათ შორის მოშიმშილეების დასჯის გადაწყვეტილება მიღებული იყო, აქციის მონაწილეებმა და მით უფრო ორგანიზატორებმა, ყურად არ იღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნა და მოწოდება - გადაეწყვიტათ ქაშუეთის ტაძარში და ამით თავიდან აეცილებინათ საშინელი საფრთხე. ისმოდა შეძახილები: " არა! ფიცი გვაქვს ნათქვამი!" ღმერთს შევფიცეთ!" და ეს - "არა!" - საბედისწერო გახდა 21 ადამიანისთვის. საბჭოთა ნაწილების სადამსჯელო ოპერაცია იყო სამაგალითოდ სასტიკი. იყვნენ დაჭრილები და იყო 2000-ამდე მოწამლული. საქართველოში გლოვა გამოცხადდა. "დღეს არის ჩვენი გლოვა და ჩვენი სულის ზეიმი..."- ანუგეშებდა სიონის ტაძარში შეკრებილ მრევლს საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქრი.

მაშინდელი ესტრადის ვარსკვლავების მიერ შესრულებული სიმღერა სახელწოდებით "ტიტები" ქართველების ერთიანობის სიმბოლოდ იქცა. 29 წლის წინ, 1989 წლის 9 პრილის ტრაგედიიდან, საქართველო ერთ მუშტად ისე შეიკრა, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ სულ რაღაც ორიოდ წელში რუსთაველის პროსპეტზე ქართველების სისხლი ქართველებისვე ხელით დაიღვრებოდა. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში საბჭოთა სადამსჯელო მანქანამ სრულიად უდანაშაულო ადამიანები შეიწირა. მოკლულებს შორის იყვნენ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები, ზუსტად ჩემი თაობის გოგონებიც.

ყველაფერი ასე დაიწყო: აფხაზეთში "ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" მიტინგებს ატარებდა. ერთ-ერთი აქციის შემდეგ სოხუმისაკენ მიმავალ ავტობუსს, რომელშიც მომიტინგეები ისხდნენ, თავს დაესხნენ (მიტინგი ანტიაფხაზური კი არა, ანტიიმპერიალისტური იყო) . 1989 წლის 2 აპრილს ამის გამო სოხუმში გრანდიოზული აქცია გაიმართა, რომელშიც ბევრი აფხაზი მონაწილეობდა. "ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ" ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკების პროვოცირების თავიდან ასაცილებლად წინააღმდეგობის ცენტრის თბილისში გადატანა გადაწყვიტა.

4 აპრილიდან თბილისში საყოველთაო გაფიცვა დღის 3 საათზე დაიწყო, როცა სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე სტუდენტების მიტინგი გაიმართა. მონაწილეები აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას მოითხოვდნენ. ამავე საღამოს, 7 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში კიდევ ერთი მიტინგი მოეწყო. გადაწყდა, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობისადმი ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ, საქართველოში დროებითი მთავრობა შექმნილიყო და ავტონომიურო ფორმირებები გაუქმებულიყო. ამის შემდეგ მომიტინგეთა უმრავლესობა მთავრობის სახლისაკენ გაემართა. შედგა ახალი მიტინგი, რომელიც მეორე დილის 5 საათისათვის დამთავრდა, როცა ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა.

5 აპრილს აფხაზეთის პრობლემატიკამ მომიტინგეთათვის მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ორატორთა გამოსვლებში აქცენტი სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის მოთხოვნაზე გაკეთდა. ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ნაწილმა გამოაცხადა, რომ აფხაზეთის პრობლემა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მოგვარდებოდა. მომიტინგეებს თანდათან სხვადასხვა საწარმოებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები უერთდებოდნენ. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჯგუფები ჩამოყალიბდა, რომლებიც შენობებში მასწავლებლებსა და სტუდენტებს არ უშვებდნენ და გაფიცვისკენ მოუწოდებდნენ. გამოცხადდა, რომ თუ არ დაკმაყოფილდებოდა მოთხოვნა, საქართველო სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსულიყო, საყოველთაო-ეროვნული გაფიცვა და მასობრივი შიმშილობა დაიწყებოდა.

7 აპრილისათვის მთავრობის სახლის წინ უკვე საშუალოდ 10-20 ათასი კაცი იმყოფებოდა. ერთ-ერთმა ლიდერმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს მიმართა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის გამოყენება ეცნოთ.

მომიტინგეთა მოთხოვნები ხელისუფლებისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. 8 აპრილს, კრემლის ზეგავლენით, საქართველოს რესპუბლიკური აქტივის სხდომაზე მომიტინგეთა დარბევის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს. გამოქვეყნდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობები მკაცრდებოდა. ეს ბრძანებულება უშუალოდ თბილისის მოვლენების შეჩერების მიზნით მიიღეს. ყოველივე ამით კი მიტინგის დარბევის იურიდიული საფუძველი შეიქმნა.

8 აპრილსვე დღის მეორე ნახევარში გავრცელდა ხმა, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ქვედანაყოფებს მიტინგის დაშლის შესახებ მითითება ჰქონდათ მიცემული. ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ლიდერების ხელმძღვანელობით მიტინგის ადგილის ირგვლივ მდებარე ქუჩების ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით ჩაკეტვა დაიწყეს. ლიდერები შეკრებილთ მოუწოდებდნენ, არ წასულიყვნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხედრო ნაწილები გამოჩნდებოდნენ. მათ ყურად არ იღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის — ილია მეორის მოწოდება სასწრაფოდ დაშლის შესახებ... აქციის ორგანიზატორებმა არ დაუჯერეს...

9 აპრილის დილისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები ბრძანების შესასრულებლად მზად იყვნენ. მომიტინგეთა დაშლა საქართველოს მილიციასაც კი არ ანდეს. მოსკოვიდან თვითმფრინავებით საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი გენერალ ეფიმოვის მეთაურობით გამოაგზავნეს. მიტინგის დარბევას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იგორ როდიონოვი ხელმძღვანელობდა. დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგეებს ალყა ყველა მხრიდან შემოარტყეს. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებით, ორლესული ნიჩბებითა და მომწამვლელი გაზით.

მთავრობის სასახლის წინ ასეული ჯარისკაცი იერიშით შეიჭრა და მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს შეუბრალებლად დაუწყო ჩეხვა. მიტინგი სულ რამდენიმე წუთში დაიშალა. მოედანზე მხოლოდ საშინლად დასახიჩრებული და ბარბაროსულად მოკლული ადამიანების გვამები დარჩა. 2000-ზე მეტი კაცი გაზით მოინამლა, მრავალი კი — დაიჭრა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ქიმიური იარაღიც იყო გამოყენებული. ექიმები დაზარალებულებს ვერ ეხმარებოდნენ, რადგან არ იცოდნენ ამ ქიმიური იარაღის შემადგენლობა. სამხედროებმა კი, რა თქმა უნდა, ეს საიდუმლო არ გაამხილეს.

9 აპრილის ტრაგედიას ამაოდ არ ჩაუვლია. ზუსტად ორი წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა და აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, სადაც დასმული იყო კითხვა: – თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე? საქართველოს მოსახლეობის 98%-მა დადებითად გასცა პასუხი ამ კითხვას, მათ შორის აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპულთა სულების უკვდავსაყოფად ორი წლისთავზე, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს პირველმა არჩეულმა მთავრობამ ეს დღე დამოუკიდებლობის დღედ გამოაცხადა. მალე საქართველოს დამოუკიდებლობა მრავალმა ქვეყანამ აღიარა და იქცა 9 აპრილი ზეიმის დღედ, დღედ გამარჯვებისა, თავისუფლებისა. მას შემდეგ ამ დღეს ორმაგი განწყობით ვხვდებით – სევდიანი, მაგრამ ამაღლებული განწყობით, რადგან ამ ერთმა თარიღმა მოგვიტანა ტრაგედია, რომელიც დამოუკიდებლობის წინაპირობა გახდა...

ინგა შიოლაშვილი

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“

1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რუსთაველის გამზირისკენ 15 000-მდე ადამიანი დაიძრა. სტუდენტებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს სხვა მოქალაქეებიც შეუერთდნენ და რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეიკრიბა და პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია.

1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევა; სსრკ-ის სახელმწიფო ენად რჩებოდა მხოლოდ რუსული ენა.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული.

ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას წინ აღუდგა მთელი საქართველოს მოსახლეობა. თბილისში მოეწყო მასობრივი გამოსვლები და მსვლელობა თსუ-დან უმაღლესი საბჭოს შენობისაკენ. ვითარება ხელისუფლებისათვის უმართავი ხდებოდა, საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის იმჟამინდელი პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე ხალხთან გამოვიდა უმაღლესი საბჭოს შენობის წინ ვითარების განსამუხტად და მათ დასაშოშმინებლად.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ მხოლოდ ორი გამოსავალი იყო – სისხლისღვრა ან დათმობა და მოსკოვი იძულებული გახდა, დაეთმო. ამ მოვლენების გამო 14 აპრილი არაოფიციალურად დედაენის დღედ გამოცხადდა.

მსგავსი მოვლენები მოხდა 1978 წლის 25 მაისს ბათუმშიც, როდესაც უნდა დაემტკიცებინათ აჭარის ასსრ-ის კონსტიტუცია, რომლიდანაც ასევე გამქრალი იყო მუხლი ქართული ენის შესახებ. მიუხედავად ამისა, მაშინ დაწყებული იქნა და დღემდე გრძელდება ქართული ენის უხეში დამახინჯება, რაც გამოიხატება ქართულში უცხოური სიტყვების შერევა და წმიდა ქართულის ნაცვლსდ რუსულ და რუსული ენის მეშვეობით სხვა უცხოურის გამოყენება.

14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. ეს დღე 1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად 1990 წლიდან დაწესდა. მსოფლიო ისტორიაში პირველად „დედა ენას“ ძეგლიც

აუგეს და უკვე 28 წელია, "დედაენის დღე" ტრადიციულად 14 აპრილს აღინიშნება. ძეგლი ამავე სახელწოდების პარკში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე "მშრალ ხიდთან" დგას. მასზე გამოსახულია ცოდნის წყურვილით ზეცისკენ ხელებაპყრობილი ყმაწვილი, რომელიც ეს ესაა ზარს შემოკრავს. ძეგლის ავტორებს, მოქანდაკეებს ელგუჯა ამაშუკელსა და ნოდარ მგალობლიშვილს შესანიშნავად აქვთ გადმოცემული XIX საუკუნეში ქართველ "წერა-კითხვის გამავრცელებელთა" უმთავრესი მიზანი.

დღევანდელი "დედა ენის" პარკის ადგილას ბაღის გაშენება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაწყდა, როდესაც სანაპიროზე სტალინის სახელობის მაგისტრალი გაიყვანეს. ბაღში ძირითადად ჭადრები დარგეს. უფრო ადრე ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა მადათოვის კუნძული, რომელიც თავის დროზე, მტკვრის დონის აწევის შედეგად წყლით დაიფარა, გაკეთდა მშრალი ხიდი.

მანამდე კი, ქართველთა გენიალურ პალინდრომზე – „აი ია“, იაკობ გოგებაშვილმა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით იზრუნა. მწერალმა დიდხანს იფიქრა პირველი საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალურ, ზნეობრივ და პატრიოტულ კრიტერიუმებზე. მის პირად არქივში დაცულია მასალა, რომელიც „დედაენაზე“ მუშაობის პროცესს ასახავს, როგორ აზუსტებდა, ხვეწდა თითოეულ ნიუანსს, მეთოდს, ხერხს, სიტყვას მარტივიდანრთულისკენ. როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება სახალისო ყოფილიყო ყმაწვილთათვის მის მიერ შეთავაზებული მოთხრობა თუ ლექსი.

წიგნი, რომელიც დღემდე ვერაფერმა ჩაანაცვლა, ავტორის სიცოცხლეში, 1912 წლამდე, 33-ჯერ გამოიცა. იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი გამოცემა სპეციალურ კომისიას მიანდეს. 1876-1925 წლებში „დედა ენა“ 45-ჯერ გამოიცა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ დღემდე ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მთავარ ფესვად რჩება, რაც, ბუნებრივია, მხოლოდ ამ წიგნის სიყვარულით არ არის გამოწვეული. ქართველი ერის მამა, ილია ჭავჭავაძეც „დედა ენას“ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და მიაჩნდა: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანმოუხედავად ვთხოულობთ დედაენისათვის რთულსა და დამოუკიდებელ გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაცა, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია.“ — წერდა იგი.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

თამაში, რომელიც სიკვდილით სრულდება



ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, სამეცნიერო ფანტასტიკის ახალი რომანიდან ან მხატვრული ფილმიდან (თუნდაც სერიალიდან) ამონარიდი ნუ გეგონებათ - საუბარია რეალობაზე, შემზარავზე და სახიფათოზე, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების თაობას, მოზარდთა სიცოცხლეს რომ ემუქრება...

ყველაფერი რუსეთიდან დაიწყო, თუმცა ეს ქსელთაშორისუმსიგიჟე წამსვე მოედო უკრაინასაც. თამაშის უკან დგანან ადამიანები, რომლებიც მოთამაშეებისგან (წაიკითხე - „მსხვეპლთაგან“), მას შემდეგ, რაც ისინი თამაშში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ, ითხოვენ მათ მიერ გაცემული დავალებების შესრულებას.

ამ საოცრად სახიფათო თამაშის სახელწოდებაა „ლურჯი ვეშაპი“, რუსულ დედანში - „Синий кит“ („море китов“, „тихий дом“), ინგლისურად - „Blue Whale Challenge“, ბერძნულად: „Μπλε φάλαινα“ - შესაძლოა, თამაშის 21 წლის დამფუძნებელი, მეტსახელად - „ლის“-ი, მანიაკად მონათლოს მავანმა, მაგრამ ბრიყვად - არც ერთ შემთხვევაში! სიმბოლურობა, სულ მცირე, სამმაგია და ბოლო - ყველაზე შემზარავი.

ვეშაპისა და ლურჯი ფერის სიმბოლიკას ბიბლიური ისტორია აქვს - ვეშაპი ანსახიერებს საუკუნის გარდაცვალებას, ბიბლიური კიტის მოხსენიებით, რომელმაც იონა გადაყლაპა, ლურჯი ფერი კი - სასოწარკვეთილების სიმბოლოა. მეორე: უკვე რამდენიმე ათწლეულია, ლურჯი ვეშაპები (ათეულობით, ხან ცალკე და ხან - კოლექტიურად) ოკეანედან ნაპირზე, ხმელეთზე ხტებიან და თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს - ფენომენი აქამდე ამოუხსნელია იქტიოლოგებისა და ბიოლოგების მიერ. და ბოლოს, ლურჯი ვეშაპი ყველაზე დიდი ცხოველია დედამინის ზურგზე - ის, რასაც ბოლო დავალებით სთხოვენ მოთამაშეებს კურატორები - ყველაზე დიდ მსხვერპლთშეწირვას - „ლურჯ ვეშაპს“ - თვითმკვლელობას.

როგორც ამბობენ, თამაში დაფუძნებულია მოწინააღმდეგეებსა (აგრეთვე წოდებულნი როგორც მოთამაშეები და მონაწილეები) და კურატორთა შორის არსებულ ურთიერთობაზე. იგი შეიცავს დავალებების სერიას, რომლებსაც კურატორები იძლევიან და რომლებიც, ჩვეულებრივ, მოთამაშეებმა დღეში ერთხელ უნდა შეასრულონ; ზოგიერთი დავალება მოთამაშის თვითდაზიანებამდე მიყვანას გულისხმობს. კურატორები ზოგიერთ დავალებას მოთამაშეებს წინასწარ აძლევენ, ზოგიერთს კი იმავე დღეს.

დავალებების სია, რომლებიც 50 დღეში უნდა იყოს დასრულებული, მოიცავს დილის 4:20 სთ-ზე გაღვიძებასა და ამწეზე ასვლას, ამავდროულად, სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებას. „ლურჯი ვეშაპის“ მონაწილეები ვალდებულნი არიან, მოუსმინონ მუსიკასა და უყურონ ვიდეოს, რომლებსაც მათ კურატორები უგზავნიან.

ფილიპ ბუდეიკინი, – სტუდენტი-ფსიქოლოგი, რომელიც გარიცხული იყო უნივერსიტეტიდან, ამტკიცებდა, რომ მან შექმნა „ლურჯი ვეშაპი“ 2013 წელს. ბუდეიკინმა განაცხადა, რომ მისი მიზანი იყო „საზოგადოების გაწმენდა“ იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ. ფილიპ ბუდეიკინი (ფსევდონიმი ფილიპ „ლისი“) 2016 წლის 15 ნოემბერს დააკავეს.

მიჩნეულია, რომ თამაშთან დაკავშირებული თვითმკვლელობის პირველი შემთხვევა მოხდა 2015 წლის მიწურულს რუსეთში და თანდათან გავრცელდა ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში. შეთქმულების თეორიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ეს მოვლენა უკრაინელი ნაციონალისტების მიერ გატარებული ორგანიზებული კამპანიაა. რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ნაწილი მიიჩნევს, რომ „ლურჯ ვეშაპს“ აქვს საქალაქო ლეგენდის ნიშნები.

2017 წლის მარტში, რუსეთის ხელისუფლებამ გამოიძია ამ თამაშთან დაკავშირებული თვითმკვლელობის დაახლოებით 130 ცალკეული შემთხვევა. თებერვალში, ორი მოზარდი, 15 წლის იულია კონსტანტინოვა და 16 წლის ვერონიკა ვოლკოვა ირკუტსკში, 50 დავალების შესრულების შედეგად, 14 სართულიანი შენობის სახურავიდან გადმოხტნენ. თვითმკვლელობამდე იულიამ და ვერონიკამ თავიანთი სოციალური ქსელების გვერდებზე დატოვეს შეტყობინება. იულიამ გამოაქვეყნა დიდი ლურჯი ვეშაპის ფოტოსურათი და შემდეგ დაწერა „დასასრული“.ვერონიკა აქვეყნებდა შემდეგს: „გრძნობ, რომ უსარგებლო ხდები?“ და „მე უბრალოდ მოჩვენება ვარ“. გარდაცვალების დღეს მან დაწერა: „აზრი დაკარგულია... დასასრული“. აგრეთვე, თებერვალში, გოგონა, ცნობილი როგორც კრასნოიარსკში მცხოვრები 15 წლის ეკატერინა, აღმოჩნდა კრიტიკულ მდგომარეობაში მას შემდეგ, რაც სახლიდან გადმოხტა და დაეცა თოვლიან მიწაზე. 2017 წლის 8 ივნისს მოსკოვში დააკავეს „ლურჯი ვეშაპის“ ერთ-ერთი ადმინისტრატორი.

2017 წლის 27 მაისს მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისში 12 წლის გოგონამ მეხუთე სართულიდან გადმოხტომით თვითმკვლელობა სცადა; ის საავადმყოფოში სხეულის მრავლობითი დაზიანებებით გადაიყვანეს. მან საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ თქვა, რომ ის მიცემულ დავალებებს ასრულებდა. როგორც ირკვევა, მოზარდს გადახტომამდე დაუდგენელი პირები ინტერნეტით უკავშირდებოდნენ. ამ ფაქტის შემდეგ, საზოგადოების ნაწილი ღიად ალაპარაკდა სასიკვდილო ინტერნეტთამაშის შესახებ. აღმოჩნდა, რომ საფრთხე გაცილებით რეალურია, ვიდრე ჩვენ გვეგონა...

ამ სიტუაციიდან გამოსავალს დღეს ფსიქოლოგები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები და მშობლები ერთად სახავენ... ფაქტია, თემის ტაბუირებით პრობლემა არ მოგვარდება, მაგრამ არც ზედმეტი აფიშირებაა საჭირო, როგორც ამბობენ, ამ სიტუაციაშიც ოქროს შუალედის პოვნაა საჭირო - ბავშვების დარწმუნება იმაში, რომ ყველა თამაში გასართობი საშუალება არაა, არსებობს სიკვდილი, რომელიც თამაშით იწყება...

ამიტომ უნდა მოერიდონ სივრცეს, რომლის, ერთი შეხედვით, საინტერესო ლაბირინთებში მოგზაურობასაც დასასრული ფატალური აქვს! „ლურჯი ვეშაპი“ სწორედ ის სივრცეა, ინტერნეტ სივრცე, რომელიც შიშსა და სიკვდილს თესავს!

მასალა მოამზადა
ინგა შილაშვილმა

პატიმრობა — მეუღლეზე ძალადობის გამო

დედოფლისწყაროში მეუღლეზე ძალადობის ბრალდებით ამასწინათ, შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა მოქალაქე გ.ბ დააკავეს. საქმეზე გამოძიება სიღნაღის რაიონულმა პროკურატურამ აწარმოა. გასულ კვირას საქმეზე სიღნაღის რაიონულმა სასამართლომაც იმსჯელა და განაჩენი გამოიტანა. თავდაპირველად საქმე მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა განიხილა. დასკვნით ეტაპზე კი ბრალდებისა და დაცვის მხარეს მოსამართლე გიორგი ბუხრაშვილი უსმენდა.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული გ.ბ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით.

მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ გ.ბ.-მ 2018 წლის 7 იანვარს, საღამოს საათებში, დედოფლისწყაროს რაიონში, ყოფილი მეუღლის ზ. ხალიევას საცხოვრებელ ბინაში, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ჩაიდინა ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობა, რა დროსაც ფეხის დარტყმით მსხვერპლს მიაყენა ფიზიკური ტკივილი.

112-ში საპატრულო ეკიპაჟის გამოძახება იმავე საღამოს დაფიქსირდა. სამართალდამცველებმა გ.ბ. იმავე ღამეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა. აღნიშნული მუხლი გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გ. ბ. დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. საიდანაც მსჯავრდებული 6 თვეს მოიხდის პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 6 თვე ჩაეთვალა პირობით პატიმრობად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები ბოლო ხანს განსაკუთრებით აქტუალური გახდა, სადაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ოჯახური ძალადობის ფაქტები. ძალადობის კონკრეტული მაგალითები სულ უფრო ხშირად ქვეყნდება მედიასაშუალებებში. ამ საკითხზე თითქმის ყოველდღიურად მსჯელობენ სხვადასხვა პოპულარულ თოქ-შოუებში. ადრინდელისგან განსხვავებით ამჯერად ძალადობაზე უკვე ღიად საუბრობენ დაზარალებული სუსტი სქესის წარმომადგენლები, რომლებზეც მეუღლეებმა იძალადეს. არასამთავრობო სექტორის და ცალკეული უფლებადამცველების აქტიურობის გარდა გარკვეულ ქმედით ნაიჯებს დგამს სახელმწიფოც. თუმცა, უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიციელთა რეაგირება არასაკმარისი, ან დაგვიანებულია, რადგან საპატრულო ეკიპაჟის წასვლის შემდეგ მსხვერპლი კვლავაც დაუცველი რჩება.

გასულ კვირას ამ თემაზე შემაჯამებელი პრესკონფერენცია გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროში. გახარიას უწყებაში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე წლის დასაწყისში პოლიციისთვის მიმართვიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ შარშან ოჯახური ძალადობის შემთხვევაში 530 მიმართვა შევიდა პოლიციაში, წელს ეს მაჩვენებელი 1 179-მდე გაიზარდა. სამინისტრო საზოგადოებაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, თითქოს პოლიცია სათანადოდ არ რეაგირებს, პრესკონფერენციაზე ციფრებით პასუხობს. თუ აქამდე ოჯახური ძალადობის დროს გამოძახებული საპატრულო ეკიპაჟი, ძირითადად, შემაკავებელ ორდერს გამოწერდა და მათი რეაგირება ხშირ შემთხვევაში შედეგისმომტანი არ იყო, ამჯერად სამინისტრო კონკრეტულ ციფრს ასახელებს და აღნიშნავს, რომ მოძალადეთა მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიციამ ადგილზე დააკავა.

მაგალითისთვის: შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ბოლო სამ თვეში, ოჯახური დანაშაულის ბრალდებით სულ 855 პირი დააკავა. აქედან კახეთის რეგიონში 68 პირია დაკავებული.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა განაცხადა, ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევისა და მომართვიანობის მნიშვნელოვნად ზრდის პარალელურად, არსებობენ ძალადობის მსხვერპლი პირები, რომლებიც ისევ თავს იკავებენ სამართალდამცველებთან თანამშრომლობისგან. ისინი არ ატყობინებენ დანაშაულის შესახებ პოლიციას ან შეტყობინების შემდეგ უარს აცხადებენ მოძალადის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.

ლონდა თოლორაიას განმარტებით, ეს ფაქტორი მოძალადეს უბიძგებს ახალი და, როგორც წესი, უფრო მძიმე ძალადობის ჩადენისაკენ.

„ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. სამინისტროს პოლიტიკა მოძალადეების მიმართ არის სამართლიანი და მკაცრი, რაც, უპირველეს ყოვლისა, მსხვერპლთა ძალადობისგან დაცვის მიზანს ემსახურება. სტატისტიკური მონაცემებით, 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, მთელი საქართველოს მასშტაბით, ოჯახური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით 855 პირი დააკავეს. მათ შორის, კახეთში დაკავებულია 68 პირი.

რაც შეეხება კონკრეტულ დანაშაულებს, ბრალდებულთა ძირითადი ნაწილი დააკავეს ოჯახში ძალადობის, ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის, იძულებისა და ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით. კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველა მსხვერპლს, ასევე, ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ინფორმაციას ძალადობის შესახებ, ითანამშრომლონ პოლიციასთან და გამოძიებასთან, რათა დაუსჯელი არ დარჩეს ძალადობის არც ერთი ფაქტი და მსხვერპლს მიეცეს უსაფრთხო გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა.

გამოძიების დაწყების პარალელურად, მსხვერპლთა დაცვის მიზნით, სამართალდამცველებმა 1 402 პირის მიმართ გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, რომლითაც მოძალადეებს დაუწესდათ გარკვეული შეზღუდვები და აეკრძალათ მსხვერპლებთან ნებისმიერი ფორმით კომუნიკაცია. როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ შემოსული შეტყობინებებისა და სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს, რათა ასეთ ფაქტებზე რეაგირება იყოს კიდევ უფრო დროული და ეფექტიანი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი მუშაობის შედეგად, პოლიციაში მიმართვიანობის მაჩვენებელი გაიზარდა. 2017 წლის პირველ სამ თვეში გამოძიება დაიწყო ოჯახური დანაშაულის ნიშნების შემცველ 530 შეტყობინებაზე, ხოლო 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში ორჯერ მეტ - 1 179 შეტყობინებაზე, რაც ადასტურებს, რომ პოლიციისადმი ნდობა გაზრდილია როგორც ძალადობის მსხვერპლთა, ასევე, აღნიშნული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მქონე პირთა მხრიდან“, – განაცხადა ლონდა თოლორაიამ.

საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ დუმილი დანაშაულია, და რომ ძალადობის წინააღმდეგ ყველამ ერთად უნდა ავიმაღლოთ ხმა... თუმცა, რატომღაც ჩვენში დღემდე დამკვიდრებულია აზრი, თითქოს, სხვის ოჯახურ საკითხებში ჩარევა ჩვენი საქმე არ არის და მეუღლის ჩაგვრის დროს დახმარებას არ უნდა ეცადო. თავად სამართალდამცველებიც მრავლად იხსენებენ ისეთ ფაქტებს, როცა სასჯელის მოხდის შემდეგ მოძალადეს მსხვერპლი ურიგდება და ერთად თანაცხოვრებას აგრძელებენ. ამიტომ საკითხის განხილვას მენტალურ პრობლემამდე მივყავართ. ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში საკუთარ მიდგომებს ყველამ უნდა გადავხედოთ, რათა ავის და კარგის გარჩევა შევძლოთ.

ილია მარტყოფლიშვილი

ქველმოქმედება არ იკარგება

საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის დავალებით ქართველი ქველმოქმედი ძმების ზუბალაშვილების შესახებ პატარა ნარკვევი დავწერე და ჩვენი რაიონის ცნობილი ქველმოქმედი ძმებიც გავიხსენე, ისინი ვინც ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ და ედღეს აღარ არიან და ისინიც, ვინც დღესაც გამოირჩევიან გაჭირვებულთა მხარში დგომითა და თანაგრძნობით.

ზუბალაშვილები ქართველი მწერლები და მეცენატეები იყვნენ და მათ მიზანს ქართული კულტურისა და ეკონომიკის გადარჩენა-აღორძინება წარმოადგენდა.

ძმებს-სტეაფნე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებს, დიდი სავაჭრო ქსელი ჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქეთსა და ინდოეთში. მათ მიერ თბილისში შექმნილმა „ამხანაგობამ“, ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა ააშენა.

1835 წელს, იაკობ ზუბალაშვილმა იმერეთში პირველი არყის ქარხანა გახსნა და იმერეთის მოსახლეობისაგან ჭაჭის შესყიდვა დაიწყო. ქარხანაში წელიწადში, დაახლოებით, 72 ათას ლიტრ არაყს ხდიდნენ. 1842 წელს, იაკობ ზუბალაშვილმა თბილისში დიდი ქარვასლა ააშენა, რომელიც 10 სავაჭრო მაღაზიას, საწყობებს, ღვინის სარდაფებსა და 71 სასტუმრო ოთახს აერთიანებდა. მათ სახელს უკავშირდება თბილისში პირველი პედიატრიული საავადმყოფოს გახსნაც, რომელიც ძმებმა სრულიად აღჭურვეს ევროპიდან ჩამოტანილი სამედიცინო აპარატურით. სამეწარმეო საქმიანობის გარდა, ძმები ზუბალაშვილები დიდ ქველმოქმედებას ეწეოდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით. მათ მიერ დაწესებული სტიპენტიებით ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება რუსეთსა და ევროპაში, მათ შორის იყვნენ: გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა და სხვები. მეცენატი ძმების მხარდაჭერითა და ფინანსური შემოწირულობებით დაარსა ილია ჭავჭავაძემ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ასევე სათავაზნაურო ბანკი.

ძმები ზუბალაშვილების სახელს უკავშირდება ამჟამინდელი მარჯანიშვილის თეატრის, თბილისის უნივერსიტეტის და კონსერვატორიის მშენებლობა. ამ ისტორიული შენობების აგებისათვის ზუბალაშვილებმა საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს. ისინი აქტიურად აფინანსებდნენ გაზეთ „ივერიასა“ და ჟურნალ „ჯეჯილს“. მეცენატი ძმები თავიანთი ფინანსებით მრავალ სასიკეთო საქმეს აკეთებდნენ. პარიზში, ლუვრში, ერთ-ერთი დარბაზის კედელზე განთავსებულ მარმარილოს დაფაზე, ამოტვიფრულია ექსპოზიციის შემომწირველთა სახელები, რომელთა შორისაც იაკობ ზუბალაშვილსაც ამოიკითხავთ.

თბილისში, ზუბალაშვილების საპატივსაცემოდ, მათი სახელების ქუჩა არსებობს. სწორედ ამ ქუჩაზე, ძმების დაფინანსებით, აშენდა უპოვართა სახლი და უფასო სასადილო, შემდგომ წლებში ამ ქუჩას ათარბეგოვის ქუჩა უწოდეს, ხოლო 1990-იან წლებში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, კვლავ ზუბალაშვილის ქუჩა ეწოდა. ქართველებს გვეამაყება ძმები ზუბალაშვილების ღვაწლი, მაგრამ არ არსებობს ქველმოქმედება დიდი და მცირე რადგან ის ადამიანებისადმი თანადგომასა და სიყვარულზეა დაფუძნებული. ჩვენს საზღვრისპირა რაიონშიც გვყავდნენ და ახლაც გყვანან ძმები, რომლებიც ქველმოქმედებით გამოირჩევიან, შეიძლება მათი ღვაწლი ზუბალაშვილების მასშტაბებს ვერ სწვდება, მაგრამ მათი სახელები და საქმიანობა კარგად ახსოვთ დედოფლისწყაროელებს ზოგი ცოცხალი აღარ არის, ზოგი მათგანი დღეს ეწვა ქველმოქმედებას. როგორ შეიძლება, ხალხმა დაივიწყოს ძმები ინდიკო და შენგელი ბენაშვილები, ამირან და რობიზონ იაკობიშვილები, ნუგზარ და ჯემალ ყოჩიაშვილები, კოტე და კაკო ლოლაშვილები, გივი და ვაჟა ნატროშვილები, ბაჩუკი და ვაჟა გონაშვილები, აკაკი და ვაჟა ოზაშვილები, ტარიელ და ტრისტან ქურხულიშვილები, ძმები ბენიაიძეები და კიდევ სხვა მრავალი, ვინც ჩუმად და უანგაროდ უდგას გვერდში ესოდენ გაჭირვებულ ჩვენს ხალხს.

თითოეულ მათგანს სავსებით მიესადაგება ეს ფრაზა:- „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“.

ნანა ჭიჭინაძე

ოცი ტკივილიანი წელი...

გარდაცვლილი ადამიანი თვალს აკლდება, გულს კი არაო, ტყუილი მგონია ეგ ნათქვამი. გულს რომ დამაკლდი, ამიტომ განვიცდი შენს სიკვდილს, ჩემო ლიანა, უნახაობას კიდევ აიტანდა ადამიანი, გული არის მთავარი, თვალი მეორეხარისხოვანია. ოცი ტკივილიანი წელი გავიდა, ჩემო კარგო ადამიანო, ჩემო რძალო. ოცი წლის წინ სამუდამოდ გამოემშვიდობე შენს ოჯახს და ახლობლებს, რომლებთან ერთადაც ოცდათორმეტი წელი იშრომე, რომ ყოფილიყავი ღირსეული დედა და მეუღლე. 1998 წლის ხარება დღეს მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე ...იყავი ადამიანი, რომელსაც უფლისგან გქონდა ნაბოძები ადამიანების მიმართ დიდი სიყვარული და პატივისცემა, ამიტომ გული დაგვწყვიტე ყველას – შენს შვილებს და ჩემს ძმას დაუტოვე ნაღვლიანი თვალები და ტკივილიანი გული. ჩვენ ყველა ყოველთვის სიყვარულით გიხსენებთ, გვეტირები, მაგრამ ცხოვრება გრძელდება...

არც დაგვივიწყებიხარ და არც დაგვავიწყდები, ჩვენო ძვირფასო ლიანა, უფალმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

შორენა მამულაშვილი

„შირაქის“ სკივრი

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები რუბრიკით „შირაქის“ სკივრი, კვლავაც შემოგთავაზოთ

1960 WLIS APRILI

● KULTMARAZIIS TANAMSROMLEBI DILIDANVE GARET GAMODIAN DA CXVIRSAXOCIT TVALEBS IMSRALEBEN XOLME. MNAXVELS EGONEBA, VIRACAS TIRIANO. MARAZIA KVAMLSI IYO GAXVEULI, ASEA YOVELDRE. UKAN SABAVSVO BARIS SAMZAREULOA, ROMELSAC SAKVAMLEMILI AR AQVS, RIS GAMOC KVAMLI KULTMARAZIASI SEDIS. SAXANZRO RAZMSAC MIMARTES, RAIKAVSIRSAC, MAGRAM SAQMES AR ESVELA. SAWIROA, RAIKOOPKAVSIRIS GAMGEOBAM DROULAD MIIROS ZOMEBI, RATA KULTMARAZIAS SASUALEBA MIECES KULTURULAD IVAWROS.

● ARAERTGZIS DAGMOBILA MINDVRAD NAWVERALIS GADAWVA. ES ERTIS MXRIV SLIS DA AMTVERIANEBS NIADAGIS ZEDAPIRS, MEORE MXRIV NIADAGSI SPOBS BUNEBRIV SASUQ NIVTIEREBEBS, ROMLEBIC MIWASIVE UNDA CAIXNAS. MAGRAM ROGORC SCANS, KOLMEURNETA ZOGIERTI XELMZRVANELI MUSAKI TVITNEBOBAS GANAGRZOBS. AM TAVNEBOBIS SEDEGIA ZEMO QEDIS KOLMEURNEOBIS # 3 BRIGADASI YOVELGVARI GAFRTXILEBIS DA SEMOXVNIS GARESE CECXLI MISCES RA SOFLISPIRA NAKVETS, NAMJASTAN ERTAD GADAITUSA DA GADAXMA GZISPIRAS ARSEBULI XEMCENAREEBI. ASEVE ZEMOMACXAANELEBMA DAAZIANES MWVANE NARGAVEBI, ROMELIC ZAFXULSI SAUKETESO SACRDILOBELIA DIDNAURZE. ARAERTI GULGRILI DA UPASUXISMGEBLO DAMOKIDEBULEBEBIS GAMO KOLMEURNEOBEBMA MKACRI PASUXI UNDA AGON.

● AM DREEBSI WITELWYAROS RAIKOMIS POLITIKURI GANATLEBIS KABINETMA MINDVRAD MOMUSAVE MSROMELTATVIS AGITMXATVRULI BRIGADIS MSVLELOBA MOAWYO.MAT MSROMELEBS PARTIIS DEBULEBANI DA SROMITI VALDEBULEBANI GAACNES. MSROMELEBIS MXRIDAN BRIGADAS DIDI GAMOXMAUREBA MOHYVA. (FOTO V. POJIDAEVISA)

● YOVELMXRIV KETILMOWYOBILIA SOFELI GAMARJVEBA. 1952 WELS WITELWYARODAN AQ SPCIALURI RADIOXAZIC GAIYVANES, RASAC SIXARULIT SEXVDA ADGILOBRIVI MOSAXLEOBA. MAGRAM BEDNIEREBA DIDXANS AR GAGRZELEBULA. AXLA RADIOREPRODUQTOREBI MXOLOD FORMALURAD KIDIA KEDELZE. MRAVALJER MIMARTES KAVSIRGABMULOBIS RAIKANTORAS, RATA AMETYVELEBULIYO RADIO. RAIONUL GAZETSIC GAMOQVEYNDA, MAGRAM AMBAVMA CAIARA. KAVSIRGABMULOBIS RAIKANTORA GADASAXADEBS RODI IKLEBS. MIMDINARE WELSAC ISEV CAICXRIALA FULEBI... RAIKANTORIS UFROSMA AMXANAGMA SARQISOVMA YURAD UNDA IROS SOFEL GAMARJVEBIS MSROMELTA MOTXOVNA DA UKUAGDOS MATTVIS SEUFEREBELI UPASUXISMGEBLOBA. DAMNASAVEA ASEVE SOFLIS SABWOS TAVMJDOMAREC, ROMELMAC PRINCIPULAD AR DASVA SAKITXI RAISABWOS ARMASKOMSI.

● SUL UFRO KETILMOWYOBILI XDEBA ZEMO QEDI. RAIONIS SAXALXO GANATLEBIS GANYOFILEBAM GAXSNA 30 ADGILIANI SABAVSVO BARI, ROMELSIC ARIZRDEBIAN SOFLIS MUSA MOSAMSAXURETA DA KOLMEURNETA SVILEBI. BARS KOLMEURNEOBIS KANTORIS PIRVELI SARTULI AQVS DATMOBILI. KARGAD MOUWYVIAT SABAVSVO SAZINEBELI, SAMZAREULO-SASADILO DA SATAMASO OTAXEBI. MOMSAXURE PERSONALI BAVSVEBS KARGAD UVLIS DA KVEBAVS MSROMELEBI KMAYOFILNI ARIAN.

● K. MARJANISVILIS TBILISIS DRAMATULMA TEATRMA WITELWYAROS STADIONZE WARMOADGINA GOTUAS 3 MOQMEDEBIANI DRAMA `MEFE EREKLE~. EREKLES ROLS ASRULEBDA SABWOTA KAVSIRIS SAXALXO ARTISTI VASO GOZIASVILI. DADGMIS REJISORIA VAXTANG-TABLIASVILI. WARMODGENAS 3 500 MAYUREBELI DAESWRO, ROMELIC ERTOBLIVAD, AVTOMOBILEBIT MOIYVANES ROGORC RAIONIDAN, ISE SOREULI SOFLEBIDAN. MAYUREBELI IMDENAD KMAYOFILI DARCA, ROM TEATRIS KOLEQTIVS STXOVES, RAIONS KIDEV EWVION XSIRAD WARMOADGINON TAVIANTI SAUKETESO DRAMEBI.

1979 WLIS APRILI

● IYO DRO, ROCA QVEMO QEDSI WERA-KITXVIS MCODNE ISVIATOBAS WARMOADGENDA. MAGRAM OQTOMBRIS YOVLISSEMZLE SXIVEBMA AQAC SEMOASUQA DA SECVALA QVEMOQEDELTA KUTURULI CXOVREBIS DONE. DRES AQ ARIS OJAXEBI, SADAC 4-5 UMARLESGANATLEBULIA. XALXI SULIER SAZRDOS ITXOVS. GARKVEULI PIROBEBI SOFELSI UKVE ARIS, OTXI BIBLIOTEKA, ERTI SASUALO DA ERTIC DAWYEBITI SKOLA, KULTURIS SAXLI, KINO-DARBAZI. MAGRAM GANVITAREBAM MOITANA IS, ROM XALXS GAUCNDA MISWRAFEBA, SAKUTARI BIBLIOTEKA HQONDES. 800 KOMLIAN SOFELSI ARAA WIGNEBIS MARAZIA, SADAC AXAL WIGNEBS SEIZENEN, MARTALIA ZEMO QEDSI ARIS ZONALURI MARAZIA, MAGRAM CVENAMDE 10%-IC VER ARWEVS. DROA DA VAKMAYOFILOT MATI SULIERI MOTXOVNILEBEBI.

● TELEFONI ADAMIANEBISTVIS AUCILEBEL MOTXOVNILEBADAA GADAQCEULI. ROCA YOVELI MOQALAQE ZLIER XSIRAD SARGEBLOBS, PATARA XARVEZIC KI ABONENTIS GUNEBA-GANWYOBAZE MOQMEDEBS. TELEFONIS APARATEBI WITELWYAROSI ATASOBIT DGAS, MAGRAM XANDAXAN MXOLOD DGAS DA TAVIS FUNQCIAS VER ASRULEBS. RTUL DROS ROM MOVA MONTIORI DA APARATS XMAS AMOAREBINEBS, ASETI GAWIRVEBIS TALKVESIA KAKO KEVLISVILI, DAUZARELI DA XALISIANI AXALGAZRDA. PATARA TANIS DA DIDI GULIS KACI TAVIS SAQMEZE UZOMOD SEYVAREBULIA.

● SIRAQIS MEFRINVELEOBIS MEURNEOBIS GARSEMO, ASEVE ZEMO QEDIS, ARBOSIKIS, GAMARJVEBISA DA OZAANIS KOLMEURNEOBATA NATESEBSI ARCTU IS-VIATAD SEXVDEBIT, ROM PIRUTYVI TAVISUFLAD DATARESOBS JEJILSI. GARDA IMISA, ROM GANUKITXAVAD SZOVS JEJILS, FEXIT TQERAVS MAS, RUPAVS NATESS. ES MASIN, ROCA RAIONIS MSROMELEBI YOVELI RONIT CDILOBEN MIWIS NAYOFIEREBIS AMARLEBAS. AM FONZE YOVLAD GAUMARTLEBELIA MAVANTA UYURADREBOBIS GAMO NATESEBIS GACANAGEBA

● IVANE GAXUTELASVILI ORMOC WELS GADACILEBULI KACIA, SAGAREJOS SOFEL GOMBORSI CXOVROBS, HYAVS COL-SVILI, MAGRAM WKUA MAINC VER ISWAVLA. ERTWLIANI SASJELI ROM MOIXADA, YVELAS EGONA, GONS MOVA, SWOR GZAS DAADGEBAO, MAGRAM SEAYARE KEDELS CERCVI. 1973 WELS KIDEV CAIDINA DANASAULI DA AXLA 4 WLIT TAVISUFLEBIS ARKVETA MIUSAJES. ES SASJELIC MOIXADA DA WITELWYAROSI, VASLOVANIS NAKRZALIS TYIS MCVELAD DAIWYO MUSAOBA. QARTVELI KACI ODITGANVE STUMARTMOYVAREA, AMITOM VIN WARMOIDGENDA, MASPINZELI STUMARS RVINOS DAALEVINEBDA DA SASIKVDILOD GAIMETEBDA. GAXUTELASVILI SWORED ASE MOIQCA. OQTOMBRIS ERT SARAMOS, NAKRZALIS SACXOVRISSI MASTAN TELEVIZORIS SAYURE BLAD MIVIDNEN SOFEL KASRISWYALSI MCXOVREBI IOSEB CACQANASVILI DA KONSTANTINE GAWERIZE, AM UKANASKNELIS AVTOMANQANIT. STUMREBMA RVINIS DALEVAZE UARI TQVES, RADGAN UKVE SEQEIFIANEBULEBI IYVNEN. AMAZE MASPINZELMA CXUBI ATEXA. GAXUTELASVILMA ESEC AR IKMARA, AIRO SANADIROTOFI, WASUL STUMREBS GAMOEDEVNA. ROGORC KI WAMOWIA CACQANASVILS PIRDAPIR DAMIZNEBIT MUCLIS ARESI ESROLA. ROM ARA RAISAAVADMYOFOS ENERGIULI CAREVA, MISI SICOCXLE BEWVZE EKIDA. AM DREEBSI, WITELWYAROS SAXALXO SASAMARTLOS MESAMED MOUXDA GAXUTELASVILIS GASAMARTLEBA. AXLA UKVE MKVLELOBIS MCDELOBISTVIS,~ - WERS WITELWYAROS SAXALXO MOSAMARTLE GIORGI GONASVILI.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

მონატრება

ილიკო შარვაძე

გაიღვიძა ბუნებამ, მოვიდა გაზაფხული თავისი სიმშვენიერით, სილამაზით და ჯადოსნური ფერებით. ყვავის ირგვლივ ყველაფერი და საამო სურნელს აფრქვევს. ამ სილამაზის მნახველი ადამიანის განწყობას გამოხატავს ბევრისგან აღტაცებით წარმოთქმული სიტყვები – „ეს სილამაზე მკვდარსაც კი გააცოცხლებსო“.

მაგრამ, ვაი,რომ ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია- „მკვდარს არაფერი აღარ აცოცხლებს“, რადგან ამ ბუნების ლამაზ კანონზე უფრო ძლიერია, მეორე, სხვა მუხანათი კანონი, რასაც „სიკვდილი“ ჰქვია, რომლის წინაშეც ყველა უძლურია.

სწორედ ეს არის ის დიდი მიზეზი იმისა, რომ უკვე მეექვსედ მოვიდა გაზაფხული და აღდგომა უშენოდ. ექვსი წელია, აღარ გამიგონია შენი ხმა- „დე, გილოცავ აღდგომასო“.

ახლა კი ამ წერილის საშუალებით მე გეხმიანები. გილოცავ გაზაფხულის დადგომას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს საყვარელ მამასთან ერთად, რომელიც, ალბათ, ბედნიერია, რადგან თავისთან ჰყავს საყვარელი შვილი, რომელზეც არაბუნებრივად იყო შეყვარებული.

ჩემთვის კი წლების გასვლას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მე შენი წასვლის პირველ დღეებში ვარ ჩარჩენილი, მხოლოდ ერთია, რომ მონატრება უფრო გაუსაძლისია და გულის ტკივილი კი მოურჩენელი.

„დრო მკურნალიაო“-ეს სიტყვები შენს დედას არ ეხება ჩემო ილიკო, შენ ჩემი მოურჩენელი იარა ხარ, რომელსაც განკურნება არ უწერია.

დიდი მწუხარება ისეთივე სიტყვაძუნწი ყოფილა, როგორც დიდი სიხარული. ალბათ ამიტომაც ვერ მომიყრია თავი იმ სიტყვებისთვის, რომელიც შენი დაკარგვით გამოწვეულ დიდ მწუხარებას გადმოსცემს ისე, როგორც დედას სტკივა, შვილო.

დრო გადის, მაგრამ ტკივილი არ ნელდება, საყრდენგამოცლილი ვარ, ირგვლივ სიცარიელეა ჩემთვის, უსასრულო ნისლში ჩაიძირა ჩემი სიცოცხლე უშენოდ. ძნელია ფუჭი მოლოდინი, მაგრამ მაინც გელოდები მუდმივად, მეტი რაღა დამრჩენია, სიზმრად მაინც მოდი, შვილო, იქნებ ცოტათი მაინც მოვიკლა შენი მონატრებით გამოწვეული მწუხარება.

შენ ისე შორს ხარ ჩემგან, რომ შენს ნატვრაში თეთრად გატარებულ ღამეებს ვერ შველი, ტკივილს ვერ მიმსუბუქებ, ვეღარ ათბობს ჩემს გაყინულ გულს შენი ღიმილი და შენი ლამაზი თვალების გამოხედვა, ჩემო ბიჭო.

მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობ და მჯერა, რომ ზეციდან დამყურებ უსაზღვროდ თბილი და მოსიყვარულე თვალებით.

შენი წასვლით, ჩემი ნაწილიც წავიდა... არ ვკვდები,მაგრამ ის აღარ ვარ, რაც ვიყავი, სხვანაირად ვფიქრობ, სხვანაირად ვიქცევი...

ეს ყველაფერი შენ განმაცდევინე, ჩემო ერთადერთო საფიცარო შვილო.

უშენოდ ჩემთვის “ყველაფერი“ „არაფერია“. უშენობა ძალიან მძიმე და უსამართლო სასჯელია. შენ ჩემს გულში ცოცხლობ, შენს ოჯახში საუკუნო ხატი გიდგას ხსოვნისა.

ჩემი ცხოვრება უფერულია და სიცოცხლე მტანჯველი, მაგრამ ვსულდგმულობ იმით, რომ შენსავით ლამაზი და კეთილი შვილები დამიტოვე იმედად, ჩემო ილიკო.

ნათქვამია, სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანი ცოცხალიაო, ამიტომ შენს სახელს დავიწყება არ უწერია, შენი შვილების გულში დარჩები მუდამ ახალგაზრდა და ლამაზი მამიკოს განსახიერებად - ჩემო ერთადერთო სანთელო.

ჩემმა ლოცვამ, დანთებულმა სანთლებმა, შვება მოჰფინოს შენს ლამაზ სულს და გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

უფალს მორიდებით და პატივით ვთხოვ შენს მფარველობას, ჩემო ილიკო.

დიდი სიყვარულით და მონატრებით, დედა -
ნათელა იაკობიშვილი – შარვაძე.

გოგი პოპიაშვილი

სამი წელი თვალსა და ხელს შუა გაილია, ისევ მოვიდა აღდგომა, 2015 წლის 10 აპრილს, წითელ პარასკევს, გამთენიისას მიაბარე შენი სუფთა სული და ტანჯული სხეული უფალს და უხმოდ, უპრეტენზიოდ, როგორც, ზოგადად, ცხოვრებაში იყავი, დატოვე ეს ქვეყანა. ალალ-მართალი, მშრომელი და პატიოსანი კაცის სახელი გაიყოლე თან, შენზე აუგის მთქმელი ადამიანი არ მოიძებნება. შესანიშნავი მეუღლე, მამა და პაპა იყავ, ერთგული, უღალატო მეგობარი და თანამშრომელი. ამიტომ, ოჯახთან ერთად, დააკლდი ყველას – ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებსა თუ თანამშრომლებს. 2 აპრილს შენი დაბადების დღე იყო, 77 წლის გახდებოდი, 10 აპრილი კი შენი გარდაცვალების დღეა. არც სიცოცხლეში გაკლდა პატივისცემა და დაფასება და არც სიკვდილის მერე – ახლაც შენი შვილები, შვილიშვილები, ახლობლები მოვედით შენს საფლავზე, მოგილოცეთ დაბადების დღე. ყვავილებით შევამკეთ შენი სამუდამო განსასვენებელი, აგინთეთ სანთლები და თავი წავუქციეთ ჭიქა ღვინოს, გავიხსენეთ შენთან ერთად გატარებული თბილი დღეები, შენი კურიოზები. გული გვწყდება, რომ ისეთ დროს დატოვე ცხოვრება, როცა უნდა გაგეხარნა: შენი ნალოლიავები ნია უკვე სტუდენტია, შენი მოსახელე პატარა გიორგი, რომლის დაბადებასაც ვერ მოესწარი, სამი წლის ხდება. ცხოვრება მიდის თავისი დინებით, მაგრამ შენს ხსოვნას მუდამ თავისი ადგილი ექნება ჩვენს გულებში, სანთელ-საკმეველი და ლოცვა არ მოაკლდება შენს სულს, რათა დაიმკვიდრო სასუფეველი ცათა შინა.

შენი მეუღლე
ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

გია ქურციკაშვილი

გაზაფხული მოვიდა უშენოდ. ძალიან დაგვაკლდი. მაინც მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება! მიუხედავად ყველაფრისა, გვჯეროდა, რომ აჯობებდი სენს. ძლიერი იყავ და ამ შენი სიძლიერით იმდენჯერ გაგვაოცე, რომ გვეგონა, საბოლოოდ გაიმარჯვე და ასეთ დასასრულს აღარ მოველოდით.

ამიტომაც ვეღარ წარმოვიდგინეთ, ვეღარ გავაცნობიერეთ, რომ იმ კეთილი ღიმილით, რომელსაც დაუნანებლად გვჩუქნიდი, თურმე გვემშვიდობებოდი კიდეც.

ყველაზე მეტად მძიმე და აუტანელი შენი შვილებისთვის იქნება უშენობა, მაგრამ შვილებმა მონატრების გაძლებაც უნდა ისწავლონ და უმამოდ ცხოვრებასაც უნდა შეეგუონ. მეუღლე კი უშენოდ უნდა გაუძღვეს დაობლებულ ოჯახს.

გვიჭირს ყველას, მაგრამ ნუგეშად და იმედად შენგან დატოვებული სიკეთე და კარგი კაცობა გვაქვს.

ჩვენ კი ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები, გია.

შენი და ცისანა ოჯახით.

მარინა გიგოლაშვილი

უჩვეულოდ გამოიყურებოდა ჩვენი სკოლა იმ დღეს – სკოლის ეზოში ხელში ანთებული სანთლებით ჩამწკრივებული მოსწავლეები, შენობის შესასვლელთან ჩამოფარებული შავი ფარდა, ფარდაზე ბზის ტოტებში მიმოფანტული იები და ენძელები და შენი გადიდებული სურათი. სურათის ქვეშ შავ მუშამბაზე თეთრი ცარცით ლამაზად გამოყვანილი ასოებით შენთვის დაწერილი უკანასკნელი სტრიქონები:

ეს ბზის ტოტები მარადიულ სიცოცხლეს ნიშნავს,
ყვავილთ ფურცლები – მაგ ჩამოშლილ წელთ ათინათებს...
და უველა სიტყვა ამ კედლებში, რომელიც გითქვამს,
მადლად გაგვეკვება და შორეულ გზებს გაგინათებს,

და ზარის ხმა, რომელმაც უკანასკნელად გაგაცილა შენი მშობლიური სკოლიდან.

მერე სამგლოვიარო ფარდამ და შენმა სურათმა სამასწავლებლოში გადაინაცვლა, სადაც დღემდე არ ჩამქრალა კანდელი და სანთელი.

ასე გავიდა 40 დღე. რა იქნება შემდეგ? შემდეგ იქნება ტკივილიანი მონატრება, სიზმრები, სადაც ასე ხშირად გვეცხადები და მოგონებები, ისევ და ისევ მოგონებები...

... და გვჯერა, ეგ ლამაზი სული, რომელიც უკვე ტოვებს საქართველოს სამყოფელს, შენს მონაგარში განკაცდება, რომლებიც აავსებენ დედამინას ხალისით, სიხარულით, იმედით, სიცოცხლით.

დაე, იარონ, იარონ, იარონ, ამინ!

პროფ. ა. პოპიაშვილის სახელობის
სოფელ გამარჯვეგის საჯარო სკოლის პედაგოგიური
კოლექტივი.

გიორგი გონაშვილი

წელს 9 აპრილი მიცვალებულთა ხსოვნის დღეა, ჩვენო გიორგი, ჩვენი ოჯახების დიდო დარდო და დიდო ტკივილო, შენ იყავი ჩვენი ოჯახის პირველი სიხარული და სიცოცხლე – პირველი შვილიშვილი და შენვე გააუფერულე ჩვენი სიცოცხლე და სიხარული. ტკივილიანი და ცრემლიანი 6 თვე სწორედ 9 აპრილს გიხდება, შვილო, რაც დაგვტოვე და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე. 2017 წლის 9 ოქტომბერს, იმ ავბედით დღეს, მეხივით გავარდა ჩვენს რაიონში ხმა: – ორი ახალგაზრდა, ორი გიორგი - გონაშვილი და პოპიაშვილი ავარიამ იმსხვერპლაო. ამქვეყნიდან წავიდა ორი ვაჟკაცი, რომელმაც ბევრი ოცნება ვერ აისრულა. არ გამოხდა დიდი ხანი და სულ ახალგაზრდა გიორგი კვიწინაშვილიც ავარიას შეეწირა. მაინც რა იყო, რომ რაიონმა სამ თვეში სამი ვაჟკაცი – სამი გიორგი დაკარგა?! ნათელში იყავით სამივე, შვილებო! ჩვენო გიო, გვენატრები ყველას – შენს უბედურ დედ-მამას, დას, ცოლ-შვილს და პაპა-ბებიებს. შენი პატარა სალომე ყოველთვის მოდის შენს საფლავზე, მოაქვს ყვავილები და სანთლები, სანთელს გინთებს თავისი პაწაწინა ხელებით, გეფერება და გეუბნება: - მამა, ნათელში იყავიო!

9 აპრილს კვლავ მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ უამრავ სანთელს და უფალს შევავედრებთ შენს სულს, რათა განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ვიხრჩობით ცრემლის ზღვაში, ნათელში იყავი, ჩვენო დიდო მონატრებავ და საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, ჩვენო პატარა შვილიშვილო, შენს სახელს – „გონას“, დავიწყება არ უწერია.

დიდი მონატრებით: ბაბო ნაირა თეიმურაზოვი, **პაპა** თეიმურაზი, **ბიძა** თემური, **ბიცოლა** ნათია ზამთრეულები.

ვლადიმერ ქისტაური

ჩემო ლადიკო, ისევ მოვიდა ის სამგლოვიარო თარიღი – 13 აპრილი, როცა შენ დაგვტოვე. შვილო, შენ ალბათ ფიქრობ, წერილებს სულ დედა მწერს, ალბათ, მამას უკვე დავავიწყდიო. არა, შენ შემოგევლე, ჩემო ვაჟკაცო, მე შენ არასდროს დამავიწყდები, მე შენ ყოველ წუთში გხედავ, შენ არ გამოდიხარ ჩემი მეხსიერებიდან. ლადიკო, ამ თემაზე აღარაფერს გეტყვი,იმიტომ, რომ შენ ყოველთვის გაურბოდი მოფერებას და ალერსს.

ლადიკო, აქ ყველაფერი კარგად არის, გარდა იმისა, რომ შენი ოჯახი ისევ გლოვით არის მოსილი. ხშირად გიხსენებს შენი გოგონა ანა,თუ როგორ სეირნობდით მანქანით,ის ახლა უკვე მეოთხე კლასის მოსწავლეა და კარგად სწავლობს. შენი უცნობი ვაჟი ლადო, რომელიც დედის მუცელში დატოვე, წელს უკვე პირველი კლასის მოსწავლეა, ბევრ რამეში გგავს, შენსავით შეუპოვარი და თავისნათქვამაა.

ჩვენ ასე გვწამს, რომ შენ მანდ სამუდამო სასუფეველი დაიმკვიდრე, რადგან ძალიან სუფთად და ალალად იცხოვრე. ნათელში იყოს შენი ხსოვნა, შვილო.

შენი მშობლები, შენი ოჯახი.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის

გიორგი (ყორა) ყოჩიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მოსახლეობას და ტურისტებს დაცულ ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების მოფრთხილებისკენ მოუწოდებს

დედოფლისწყაროს სავიზიტო ბარათი- ვაშლოვანის დაცული ტერიტორია დღეისთვის 35 ათას ჰექტარ ფართობს მოიცავს და ის ერთ-ერთი უნიკალური და გამორჩეული ლანდშაფტით წარმოგვიდგება საქართველოში არსებულ დაცულ ტერიტორიებს შორის. ადგილობრივი, თუ უცხოელი ტურისტების დიდი რაოდენობა ჩვენს რაიონში სწორედ ამ ეროვნული მნიშვნელობის ადგილების დასათვალიერებლად ჩამოდის. რამდენადაც დიდია ვაშლოვანისადმი ინტერესი, იმდენად მაღალია სტანდარტი, დამთვალიერებელმა კმაყოფილმა დატოვოს დაცული ტერიტორია გამართული ინფრასტრუქტურის და კომფორტული მოგზაურობის მხრივ. თუმცა, პრობლემები აქაც არსებობს. პრობლემა ადამიანთა მენტალობაშია, არ გაანადგურონ დაცული ტერიტორიის საგზაო ნიშნები, მაგრამ როდესაც ადმინისტრაცია ამაზე ალაპარაკდა, აშკარაა, რომ ტურისტების და მოსახლეობის მზაობა, – მცირე კულტურა გამოვიჩინოთ და არ გავანადგუროთ ტურისტული ხაზის ნიშნები, მაინც დაბალია.

ამ საკითხის ირგვლივ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის რეინჯერთა სამსახურის უფროსს ვაჟა ჩერქეზიშვილს ვესაუბრეთ, რომელიც 28 წელია, ვაშლოვანის ეროვნული პარკის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია და, როგორც გავარკვიეთ, საქართველოში დაცული ტერიტორიის თანამშრომლებს შორის ყველაზე ხანგრძლივი სტაჟით გამოირჩევა.

-ბატონო ვაჟა, რამ განაპირობა ის, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში ჩვენ მოსახლეობისთვის კვლავ გვიწევს ახსნა, მოუფრთხილდნენ გარემოს, მათ შორის საგზაო ნიშნებს, რომელიც ტურისტულ მიმართულებას მიგვითითებს?

-აქ ცოტა განათლების პრობლემაცაა. პირველად რომ გავაკეთეთ, მაპატიეთ ამ სიტყვის გამოყენებაზე და პირდაპირ „დახრეს“, რასაც ჰქვია. ნაწილი დაამტვრიეს, მოიპარეს. ახლა კიდევ ახლები დავამზადეთ და ვამონტაჟებთ. 105 საგზაო ნიშანია, თუმცა ვხედავთ, რომ მაინც იგივე მეორდება, დამონტაჟებას ვერ ვასწრებთ, რომ ისევ სპობენ და ანადგურებენ. ამას ვერვერ ვუშველით, ადამიანებში თვითშეგნება თუ არ შეიცვალა, მეტი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ. უნდა იცოდნენ, რომ საგზაო ნიშნები ისევ და ისევ მათ სჭირდებათ, ტურისტს სჭირდება, რომელიც მოგზაურობს და კმაყოფილი უნდა წავიდეს ჩვენგან. მან არ უნდა ინანოს იმ თითოეული თეთრის გადახდა, რაც ვაშლოვანში ვიზიტისთვის დახარჯა. მოსახლეობას, დამთვალიერებლებს, ყველას მოვუწოდებ, რომ ნუ ებრძვიან საგზაო ნიშნებს, თორემ ჩვენ, იქ მომუშავე პერსონალმა ვაშლოვანის გზები სულ ზეპირად ვიცით, არ გვჭირდება, ეს მათ სჭირდებათ და მათსავე სასარგებლოდ არის გაკეთებული. ეს, უბრალოდ, უნდა გაითავისონ.

- შესაძლოა, დაცულ ტერიტორიებს ხშირად არ ვათვალიერებთ, მაგრამ არწივის ხეობასა და ხორნაბუჯის ციხეს ხშირად ვსტუმრობთ აქ მაცხოვრებლები და ვხედავთ დაბინძურებულ გარემოს, არადა, ამ ორივე ტერიტორიას ბუნების ძეგლის სახელი აქვს მინიჭებული.

- კი, რაც დედოფლისწყაროში წყალი იღვრება, ყველაფერი ჩადის არწივის ხეობაში, ქუჩებში და ხევებში ნაგავი რომ იყრება, ის წვიმების დროს წყალს ჩააქვს არწივის ხეობაში, ბოთლების, საბურავების, პოლიეთილენის პარკების სახით და მთელი უბედურება იმაშია, რომ ყოველთვიურად ჩვენს თანამშრომლებს გვიწევს იქ ჩასვლა, დასუფთავება. ავკრეფთ 10-12 ტომარას, გავავსებთ ავტომანქანას და მალე ისევ იგივე ხდება. ასე არ შეიძლება, ადამიანებმა უნდა ისწავლონ ბუნების დაცვა და მისი მოფრთხილება.

- როგორ ფიქრობთ, გარდა ადამიანთა მენტალობის შეცვლის, როგორ შეიძლება ეს პრობლემა მოგვარდეს, ტურისტმა რომ აღარ ნახოს დანაგვიანებული გარემო?

-ზოგადად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დანაგვიანების პრობლემა დგას. ტყეში, არწივის ხეობაში ჩადიან, საქართველოს ადღეგრძელებენ, დედაბუნების სადღეგრძელოს სიამაყით სვამენ და ნაგავს იქვე ისე ყრიან, მთელი ტყე არის დანაგვიანებული. ეს ხომ სამარცხვინოა.

-თუ საგზაო ნიშანს არ უფრთხილდება ადამიანი, იქ შესვლის დროს ბუნებას როგორ მოუფრთხილდება?

-ყველგან არის სარეინჯერო პუნქტები, სადაც დღე და ღამე რეინჯერები მორიგეობენ მთელ ტერიტორიაზე. იქ ხდება არამარტო ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და კანონის აღსრულება, თვითონ ამ ვიზიტორების კონტროლიც, თუ ვინმე რამეს აშავებს, შეიძლება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც მოუწიოთ. ვიზიტორები რომ მიდიან, იციან, რომ იქ დაცული ტერიტორიაა და არაფერი არ უნდა დააშავონ, თუმცა, ამას მაინც ახერხებენ, ვინ და როგორ, ეს უკვე ძნელი გასარკვევი აღარაა.

-ცოტა რამ ვიზიტორებზე და თვით ვაშლოვანის ბოლოდროინდელ სიახლეებზეც...

- ვაშლოვანის ეროვნული პარკი მდებარეობს დედოფლისწყაროს უკიდურესი სამხრეთ -აღმოსავლეთით. ასეთი უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობა იშვიათობაა ევროპაშიც კი. ვაშლოვანს ევროსაბჭოს ევროპული დიპლომი აქვს, ეს არის აღიარება იმ ბუნებრივი მემკვიდრეობისა, რაც ჩვენ გაგვაჩნია. გვაქვს ქურციკის აღდგენის პროექტი, რომელიც ძალიან წარმატებულად მიმდინარეობს. სააგენტომ ანგარიში რომ წარმოადგინა წელს, 2017 წელს 4 უმთავრეს წარმატებულ საქმიანობაში იყო ჩვენს მიერ ქურციკის აღდგენის საქმე ქვეყნის მასშტაბით, რაზეც, ვფიქრობ, აქცენტი უნდა გაკეთდეს. ამჟამად გვყავს ქურციკი 50-დან 60 ინდივიდამდე. ამის უამრავი ფოტომასალა გვაქვს.

-რა კატეგორიის ტურისტები არიან ვაშლოვანის დათვალიერების მსურველები: მეცნიერები, რიგითი ქართველები თუ უცხოელები...

-ვიზიტორთაგან უმრავლესობა ქართველია, მაგრამ უცხოელებიც საკმაოდ არიან, ძირითადად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ვაშლოვანში ნახავთ ნახევრად უდაბნოს, სტეპს, არიდულ-მეჩხერ ტყეს, მშრალ ტყეს, კლიმატის ტყეებს, ფართოფოთლოვან ტყეს, ჭალის ტყეს, კლდეთა ქსეროფიტებს. 28 წელია ვმუშაობ აქ, საქართველოს მასშტაბით სისტემაში ვარ ყველაზე სტაჟიანი მუშაკი. როდესაც მე დავიწყე მუშაობა, ვაშლოვანის დაცული ტერიტორია სულ 5 ათას ჰექტარს მოიცავდა. ეხლა არის 35 ათასი ჰექტარი, ეს მცირე მიღწევა არ არის.

-აქვს თუ არა კერძო ინვესტორს და ბიზნესმენს უფლება, საპიკნიკე გააკეთოს ხორნაბუჯის, ან არწივის ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე?

-ჩვენი სისტემა არსებობს ნახევრად სახელმწიფოს თანხებით და ნახევარი სპონსორების, სხვადასხვა გარემოსდაცვის კომიტეტების დახმარებით. რა თქმა უნდა, შეუძლია კერძო ინვესტორს, სამინისტროსთან შეთანხმებით, ეს გააკეთოს. ასეთი გაუმართავი ინფრასტრუქტურა მხოლოდ არწივის ხეობას და ხორნაბუჯს აქვს, თორემ, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე, ჩვენ გვაქვს საკმაოდ კარგად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, საპიკნიკე ადგილები, ბუნგალოები, დასარჩენი ოთახები და ყველა პირობა, იმისთვის, რომ ტურისტს შეექმნას ველურ პირობებში უსაფრთხოდ დარჩენის საშუალება.

- ბოლოს, მინდა გკითხოთ, გამდიდრდა თუ არა ფაუნით ვაშლოვანის დაცული ტერიტორია და განაგრძობს თუ არა ბინადრობას ლეოპარდი ვაშლოვანში?!

-ლეოპარდი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, პირველად 2003 წელს გამოჩნდა ჩვენს ტერიტორიაზე და აქ დაჰყო 2010 წლამდე, სამწუხაროდ, მას შემდეგ ის აღარ გვხვდება, ეტყობა გავიდა საქართველოდან. სხვა ცხოველების და მათი ბიომრავალფეროვნების მხრივ ნამდვილად გამოვირჩევით, 20-ზე მეტი სახეობის ცხოველი და უამრავი სახეობის ფრინველი, გადამფრენი ფრინველი ბინადრობს ჩვენს ეროვნულ პარკში, ამ მხრივ ნამდვილად გვაქვს საკმაო წინსვლა და მომავალში უკეთეს შედეგებს ველით.

ლალი მეხრიშვილი

ულოცავენ!

მარინა ცხვედიაშვილს!

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარეს,აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატს, უნივერსიტეტის ასპირანტ კურსდამთავრებულს, ჩვენს თანამემამულესა და საყვარელ პოეტს ქალბატონ **მანანა ცხვედიაშვილს** ვულოცავთ კიდევ ერთ დიდ აღიარებას და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ **ილია ჭავჭავაძის** პრემიის მინიჭებას.

ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს, ბედნიერებას და სიხარულს მის დიდ ოჯახთან ერთად.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სახელით: ნუნუ ცაკაშვილი, ნანული ნატროშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა, ირმა და გენადი შიოლაშვილები, ნანა ჭიჭინაძე, მარიკა პოპიაშვილი.

ყურადღება!

ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე მაღაზია აცხადებს ვაკანსიას გამყიდველის პოზიციაზე, ხოლო სასტუმრო - ადმინისტრატორისა (სასურველია რუსული და ინგლისური ენების მინიმალური ცოდნა) და მზარეულის პოზიციაზე. ანაზღაურება შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ:

☎ 599 08 01 28

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 09.04	სამშაბათი 10.04	ოთხშაბათი 11.04	ხუთშაბათი 12.04	პარასკევი 13.04	შაბათი 14.04	კვირა 15.04
დღე	12 °	12 °	14 °	15 °	12 °	11 °	10 °
ღამე	11 °	10 °	13 °	13 °	9 °	10 °	9 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქ დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.